ურთიერთთანამშრომლობის მემორენდუმი #01-08-171/85-2022-2

ქ.თბილისი 27 ოქტომბერი 2022 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, **სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი** წარმოდგენილი მისი რექტორის დავით გურგენიძის სახით (შემდგომში „უნივერსიტეტი“) და მეორეს მხრივ, შპს „თბილისი ენერჯი“ (შემდგომში „კომპანია“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მამუკა კობახიძის სახით, ვდებ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორენდუმის საგანი

1.1 წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ მასზედ რომ, „უნივერსიტეტის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“ (სამშენებლო ფაკულტეტი) სასწავლო კურსით: „საწარმოო პრაქტიკა“ (40 სთ), გათვალისწინებული პრაქტიკის მაღალ დონეზე წარმართვის მიზნით, „კომპანიასთან“ შეთანხმებით და წინამდებარე დოკუმენტით შეთანხმებულ ფარგლებში გამოიყენებს „კომპანიის“ სარგებლობაში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

1.2 წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ ფარგლებში „კომპანია“ უზრუნველყოფს პრაქტიკის გასატარებლად დოკუმენტის 1.4 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში მიიღოს „უნივერსიტეტის“ არაუმეტეს 30 სტუდენტი, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით „მშენებლობა“ გათვალისწინებული სასწავლო კურსით „საწარმოო პრაქტიკა“ - ფარგლებში.

1.3 „კომპანია“ პრაქტიკანტს/სტუდენტს დაუნიშნავს მენტორს/ზედამხედველს და უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალ დონეზე ჩატარებას. „კომპანიის“ სურვილის შემთხვევაში მენტორი დაინიშნება საწარმოს პერსონალიდან, შესაბამისი კვალიფიკაციით. პრაქტიკის დასრულების შემდეგ „კომპანია“ თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა-დახასიათებას.

1.4 წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში და შეთანხმებული პირობებით უნივერსიტეტის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან 13 (ცამეტი) კალენდარული კვირის განმავლობაში, 2022 წლის ნოემბრის თვიდან 2025 წლის თებერვლის თვემდე პერიოდში.

2. „უნივერსიტეტის“ უფლება-მოვალეობანი

2.1 „უნივერსიტეტი“ ვალდებულია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის ვადები და გრაფიკი შეათანხმოს „კომპანიასთან“ პრაქტიკის ჩატარების დაწყებამდე 10 დღით ადრე.

2.2 „უნივერსიტეტი“ უზრუნველყოფს „კომპანიის“ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე არსებულ ექსპლუატაციის პირობების სრულ დაცვას. „უნივერისტეტი“ იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს ზიანი „კომპანიის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრაქტიკანტების ბრალით დაზიანების შემთხვევაში.

2.3 „უნივერსიტეტი“ ვალდებულია „კომპანიის“ მიერ საწარმოს ნაწილში არსებული ვაკანსიის შემთხვევაში გაავრცელოს იგი სტუდენტთა შორის, მოიძოს შესაბამისი კადრი, მოახდინოს მსურველთა აღრიცხვა და მიიღოს მონაწილოება შერჩევის პროცესში.

3. კომპანიის უფლება-მოვალეობანი

3.1 კომპანია ვალდებულია პრაქტიკის გასატარებლად მიიღოს უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილი სტუდენტები.

3.2 საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, ან იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი უარს აცხადებს კომპანიაში არსებული სტანდარტების შესაბამისად გაიაროს პრაქტიკა, ანდა სისტემატიურად არღვევს/არ ემორჩილება კომპანიის შრომის პირობებს ან უსაფრთხოების წესებს, კომპანია უფლებას იტოვებს კონკრეტულ შემთხვევაში უარი თქვას სტუდენტების მიღებაზე/პრაქტიკის გავლაზე, ან და შეწყვიტოს კონკრეტულ სტუდენტთან პრატიკული კურსი და არ დაუშვას იგი მის ტერიტორიზე.

3.3 კომპანია უფლებას იტოვებს უარი თქვას სტუდენტების მიღებაზე ან კონკრეტული ვადით გადაავადოს, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დაკავშირებულია საწარმოო აუცილებლობასთან.

3.4 „კომპანია“ ვალდებულია შერჩეულ სტუდენტებს გააცნოს ობიექტის შინაგანაწესი და უსაფრთხოების დაცვის წესები.

3.5 „კომპანია“ ვალდებულია პრაქტიკის პერიოდში გამოყოს პასუხისმგებელი პირი (მენტორი).

3.6 კომპანია ვალდებულია მის კომპეტენციას მიკუთვნებული პრაქტიკული სწავლების შედეგების მიღწევაში (შესაძლებლობის ფარგლებში).

3.7 ყოველგვარი ბუნდოვანების გამოსარიცხად, წინამდებარე მემორანდუმით დადგენილი ვალდებულებები არ გულისხმობს კომპანიის ვალდებულებას სტუდენტების შემდგომ დასაქმებასთან დაკავშირებით.

3.8 კომპანია უფლებამოსილია მოთხოვოს უნივერსიტეტსა და მის სტუდენტებს (ხოლო ეს უკანასკნელნი თავი მხრივ იღებენ ვალდებულებას) წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტი და სტუდენტი ვალდებულნი არიან აუნაზღაურონ კომპანიას მიყენებული ზიანი სრულად.

3.9 კომპანის უფლებამოსილია პრაქტიკული კურსის დასრულების შემდგომ ნებისმიერ დროს გაუკეთოს სტუდენტს დასაქმების შეთავაზება.

4.ფორს-მაჟორი

4.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან წინამდებარე დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური მოვლენა, საომარი მოქმედება, საკანონმდებლო ცვლილება და სხვა) მოქმედებით.

4.2. დაუძლეველი ძალის მოქმედების ან შეწყვეტის შესახებ შესაბამისი მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს და შეატყობინოს მას თავისი ვალდებულებების შესრულების განახლების მოსალოდნელი თარიღი.

4.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება ან მოსალოდნელია გაგრძელდეს 1 (ერთი) თვეზე მეტი ვადით, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს

მემორანდუმი, რის შესახებ წინასწარ, არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე, წერილობით აცნობებს მეორე მხარეს.

4.4. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო მემორანდუმის მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა არ ათავისფულებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისგან, რომლებიც წარმოიშვა ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომამდე.

5. მემორანდუმის მოქმედების ვადა

5.1 მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან.

5.2 მემორანდუმი ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს:

ა) უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში;

ბ) მხარეთა შეთანხმებით;

გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში და დადგენილი წესის შესაბამისად.

5.3 საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე მემორანდუმით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

5.4 მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5.5 მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.6 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის წარმოშობილი დავის და უთანხმოების მოგვარება შეუძლებელია მოლაპარაკების გზით, მისი გადაწყვეტა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.7 მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად.

6. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„კომპანია“	„უნივერსიტეტი“
შპს „თბილისი ენერჯი“ ს.კ. 205129617 მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მიცკევიჩის 18ა გენერალური დირექტორი: მამუკა კობახიძე	სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ ს.კ 211349192 მისამართი: ქ.თბილისი, 0160, კოსტავას ქ.№77 რექტორი: დავით გურგენიძე .....